საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5294
15/09/2022

5294-21-2-202209151647

ბი-ფი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედის საქართველოს თბილისის ფილიალს
მის: ქ. თბილისი, იალბუზის ქუჩა 14
ელ. ფოსტა: laint0@bp.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4242 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. მეორე სვირში მდ. ყვირილას ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ ემთხვევა განცხადებას თანდართულ Shp ფაილებს;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს განსათავსებელი საოფისე კონტეინერის და სამშენებლო ტექნიკის განთავსების უბნის GPS კოორდინატები;
- „ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ“, „საქმიანობის მახასიათებლების“ და „მდინარის კალაპოტის დამცავი კონსტრუქციის პროექტის“ თავში აღნიშნულია, რომ მდინარის კალაპოტის გასამაგრებლად პროექტით გათვალისწინებულია 124 მ სიგრძის და 2 მ სისქის ახალი რიპრაპის მოწყობა, ხოლო „მდინარის კალაპოტის დამცავი კონსტრუქციის პროექტის“ თავში აღნიშნულია, რომ ნაპირდამცავი რიპრაპის სისქე იქნება 1.5 მ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო და სარეკონსტრუქციო ნაპირსამაგრი ნაგებობის პარამეტრები;
- დაზუსტებას საჭიროებს მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილო ნახაზი №1 და №2 არ არის იდენტიფიცირებადი;
- დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა და შემდგომი მართვის საკითხი;

- დაზუსტებას საჭიროებს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობებისა და მათი რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო